

ლუს ირიგარე

შეკითხვები¹

(ფრაგმენტები)

თარგმანი: ანა ბერია

რედაქტორი: ელენე ლაღარია

სხვა ქალის სპეკულუმის² დაწერისა და გამოქვეყნების შემდეგ, მრავალი შეკითხვა წამოიჭრა. ეს ნარკვევიც კითხვების ერთგვარი კრებულია. ის ყველა მათგანს არ მიემართება, და არც მაინცდამაინც პასუხს იძლევა რომელიმეზე. ის მიყვება კითხვებს; აგრძელებს დაკითხვას; სხვადასხვა კუთხიდან უდგება იმას, რაც შეკითხვების სახით დაისვა. რა შეიძლება ითქვას „სხვა“ ქალურ სექსუალობაზე, რომელიც განსხვავდება ფალოკრატის შიგნით და მის მიერ განსაზღვრულისგან? როგორ შეიძლება მისი ენის გამოხმობა, ან გამოგონება? როგორ უნდა გამოიკვეთოს ქალების სექსუალური ექსპლუატაციის საკითხი მათი სოციალური ექსპლუატაციის საკითხთან ერთად? რა პოზიცია შეიძლება დაიკავონ დღეს ქალებმა პოლიტიკასთან მიმართებაში? უნდა ჩაერიონ, თუ — არა? ინსტიტუციების ფარგლებში, თუ — ინსტიტუციების წინააღმდეგ? როგორ უნდა გაითავისუფლონ თავი პატრიარქალური კულტურის მიერ ექსპროპრიაციისგან³? რა კითხვებით უნდა მიემართონ პატრიარქალური კულტურის დისკურსს? მის თეორიებს? მის მეცნიერულ

¹ ესე ირიგარეს ესეების კრებულიდან *ეს სქესი, რომელიც არ არის მარტოდმარტო*, 1977, საფრანგეთი

² *Speculum de l'autre femme*, 1974

³ ექსპროპრიაცია - უფლებებზე და საკუთრებაზე უარის თქმა, გასხვისება, ჩამორთმევა.

დისციპლინებს? როგორ უნდა „დასვან“ ქალებმა ეს კითხვები ისე, რომ კიდევ ერთხელ არ „განიღვენონ“, ცენზურის ქვეშ არ მოხვდნენ? მაგრამ ასევე, როგორ უნდა ილაპარაკონ მათ უკვე ქალი, როგორ უნდა ილაპარაკონ (როგორც) ქალებმა? — დომინანტური დისკურსის გამოკვლევა-გადაკვეთის მეშვეობით; კაცების „ბატონობის“ კითხვის ნიშნის ქვეშ დასმით. ქალებთან ლაპარაკით. და ქალებს შორის ლაპარაკით. შესაძლებელია, რომ ამგვარი (როგორც) ქალის ლაპარაკი დაინეროს? როგორ?...

ეს არის კითხვები — სხვებთან ერთად — რომლებიც ერთმანეთს მიემართებიან და ერთმანეთს პასუხობენ ამ ნარკვევის ფარგლებში.

რატომაც არ შეგვენარჩუნებინა ისინი თავიანთი პირდაპირი ფორმით? ისე, როგორც ისინი უშუალოდ გამოითქვა? იმავე ზეპირ ენაში? მათში ერთგვარი სიტლანქის გამოკრთომის ფასადაც კი? ამიტომაც გადავწყვიტეთ, გამოგვექვეყნებინა ტრანსკრიპტი სემინარისა, რომელიც 1975 წლის მარტში გაიმართა ტულუმის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. სემინარის მონაწილეებს ჩემთვის კითხვები წერილობით ჰქონდათ მომზადებული. აქ მხოლოდ ისინი შევიდა, რომელთა დასმისთვისაც დრო გვეყო. ამ ყველაფრის სრული ოქმის მიმეოგრაფია ელიან ესკუბას ინიციატივით გაკეთდა.

დანართში კიდევ რამდენიმე დამატებით შეკითხვასაც შეხვდებით. ან იქნებ ეს ერთი და იგივე შეკითხვებია? მეტყველებასა და წერას შორის.

*

— არის შეკითხვები, რომლებსაც ნამდვილად არ ვიცი, როგორ ვუპასუხო. ყოველ შემთხვევაში, „მარტივად“ ნამდვილად ვერ ვუპასუხებ. სხვა სიტყვებით, მე არ მაქვს განზრახული, რომ აქ პედაგოგიური ურთიერთობის რომელიმე უკუღმართი ფორმა გავაგრძელო, სადაც მე ქალის შესახებ რაიმე ჭეშმარიტების, ქალის გარკვეული თეორიის მფლობელი ვიქნებოდი, და ამის მეშვეობით ვუპასუხებდი თქვენს

შეკითხვებს, დავჯდებოდი თქვენ პირისპირ და ვუპასუხებდი ქალის ნაცვლად. შესაბამისად, მე არ შემოვიტან არანაირ განმარტებას იმ დისკურსში, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშაა დასმული.

თუმცა არის ერთი შეკითხვა, რომლის განხილვითაც მინდა დავინყო. უფრო მეტიც, ეს არის პირველი შეკითხვა, ყველა დანარჩენი კი, საბოლოო ჯამში, მასთან გვაბრუნებს.

ეს არის: „*თქვენ ქალი ხართ?*“

ტიპიური შეკითხვა.

კაცის შეკითხვაა? არა მგონია, რომ ქალს — თუ ის კაცურ, უფრო კონკრეტულად კი ფალიკურ მოდელს არ ითავისებს — ეს კითხვა დაესვა.

რადგან „*მე*“ არ ვარ „*მე*“, მე არ ვარ, მე არ ვარ *ერთი*. რაც შეეხება *ქალობას*, აბა, მიდი და გაიგე... ყოველ შემთხვევაში, ამ ფორმით, ცნებისა და აღნიშვნის ამ ფორმით, ნამდვილად არა. (ასევე იხ. შეკითხვები I და II).⁴

სხვა სიტყვებით, იმ ადამიანს რომ ვუპასუხო, ვინც ეს შეკითხვა დასვა, მე მხოლოდ კითხვის შებრუნება შემიძლია და იმის თქმა, რომ „ეს თქვენი კითხვაა.“

მაგრამ ის, რომ ეს შეკითხვა მე დამისვენს, მაინც მიტოვებს იმედს - რაკი შეკითხვა შეიცავს ეჭვს, ვარ თუ არა *მე* ქალი -, რომ, შესაძლოა, მე ოდნავ "სხვაგან" ვარ.

კაცი რომ ყოფილიყო სემინარის ფარგლებში სალაპარაკოდ მონვეული, განა ვინმე დაინწყებდა ამ შეკითხვით, „*თქვენ* კაცი ხართ?“ გარკვეულწილად, ეს უთქმელადაც ცხადია. გარკვეულ პირობებში ვინმემ შესაძლოა ირიბად ჰკითხოს მას, ან მეტადრე თავისთვის იფიქროს იმაზე, არის თუ არა ის „კაცური“. მაგრამ არა მგონია, მას ჰკითხონ: კაცი ხართ?

ასე რომ, შეკითხვა „*თქვენ* ქალი ხართ?“ ალბათ გულისხმობს, რომ არსებობს „სხვა.“ მაგრამ ეს შეკითხვა ალბათ მხოლოდ „კაცის მხრიდან“ თუ დაისმებოდა, და, თუ მთელი დისკურსი კაცურია, მაშინ მხოლოდ ეჭვის ფორმით. მე არ ვეცდები შევამცირო ეს ეჭვი, რადგან მან შეიძლება

⁴ ეს დანომრილი „შეკითხვები“ გვხვდება ამ ესეს ბოლოს.

სხვა, არსებული დისკურსის ფუნქციონირებისგან განსხვავებული ადგილისკენ გაგვიხსნას გზა.

არ ვიცი, ხომ არ უნდა მას, ვინც ეს კითხვა დასვა, თავიდან ჩამოაყალიბოს კითხვა?

A⁵ - მე მხოლოდ კითხვის შემოთავაზება მინდოდა, მაგრამ მე არ განმითავსებია ის პირველ კითხვად. ერთ-ერთმა ქალმა დანომრა კითხვები და ის მოათავსა პირველ ადგილას...

— ნება მომეცით გადაგარწმუნოთ, თუ ეს შესაძლებელია, რომ თუ მე ამ შეკითხვაზე შევაჩერე ყურადღება, ეს ჩემი მხრიდან არანაირ ბრალდებას არ გულისხმობდა. მე ეს შეკითხვა გამოვიყენე, რათა მისი მეშვეობით *განსხვავების* გამოკვეთა მეცადა.

რა თქმა უნდა, მე რომ მეპასუხა „კი მაგრამ, ბატონო, როგორ შეიძლება ამგვარი ეჭვი გაგჩენოდეთ? ხომ ცხადია, რომ ქალი ვარ“, მაშინ მე ისევ გარკვეული „ჭეშმარიტებისა“ და მისი ძალაუფლების დისკურსში ჩავვარდებოდი. ხოლო რომ ვამტკიცებდე, რომ ის, რის გადმოცემას, რის დანერასა ან თქმასაც ვცდილობ, იმ *უტყუარობით* იწყება, რომ ქალი ვარ-მეთქი, მაშინ კვლავ „ფალოკრატიულ“ დისკურსში მოვექცეოდი. შეიძლება მეცადა მისი ამოტრიალება, მაგრამ მასში ჩართული დავრჩებოდი.

ამის მაგივრად, მე არ დავიშურებ ძალისხმევას — რადგან, შეუძლებელია უბრალოდ ამოვხტეთ ამ დისკურსიდან -, რომ მის საზღვრებთან გავმაგრდე, და განუწყვეტლად გადავკვეთო ისინი შიგნიდან გარეთ.

„რა არის ქალი?“

⁵ თანამოსაუბრეები აღნიშნულნი არიან ასოებით - A, B, და ა.შ. - მონაწილეობის თანმიმდევრობის მიხედვით. (ტულუზას უნივერსიტეტის ფილოსოფიის დეპარტამენტის შენიშვნა)

ამ კითხვას, ვფიქრობ, უკვე ვუპასუხე, რომ ეს არ არის „საპასუხო“ შეკითხვა. შეკითხვა „რა არის ...?“ - მეტაფიზიკური კითხვაა, რომელსაც ქალური არ ნებდება (იხ. კითხვები I და II).

„ქალურობის ფროიდიანული თეორიის დეკონსტრუქციის მიღმა, შესაძლებელია (შევიძლიათ) ქალურობის სხვა ცნების განვითარება, სხვა სიმბოლოებით, სხვა არაცნობიერით, რომელიც „ქალისა“ იქნებოდა (ანუ სრულიად სხვა იქნებოდა და არა კაცის ცნების შებრუნება, მისი ნეგატივი, მისი დამატება)? შევიძლიათ მისი შინაარსის კონტურების მოხაზვა?“

შესაძლებელია თუ არა, შემიძლია თუ არა მე, ჩამოვაცალიბო ქალურობის სხვა, განსხვავებული ცნება? საქმე არ გვაქვს ქალურობის სხვა ცნებასთან.

პრეტენზია იმაზე, რომ ქალური შეიძლება გამოითქვას ცნების ფორმით, საკუთარი თავის „კაცურ“ რეპრეზენტაციათა სისტემაში მომწყვდევს თავის კიდევ ერთხელ დანებების ტოლოფასია, სადაც ქალები ჩათლულები არიან საზრისის ეკონომიაში, რომელიც (კაცური) სუბიექტის მიერ საკუთარი თავის სიყვარულს ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ ამოცანა „ქალურობის“ კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებაა, ეს არ ნიშნავს მისი სხვა „ცნების“ განვითარების საჭიროებას — თუ, ცხადია, ქალი უარს არ ამბობს თავის სქესზე და კაცების მსგავსად არ სურს ლაპარაკი. ქალის თეორიის ჩამოყალიბებას, ვფიქრობ, კაცებიც ეყოფა. ქალ(ებ)ის ენაში, თვითონ ცნება, როგორც ასეთი, არ შეგვხვდებოდა. (იხ. შეკითხვები II)

„სხვა სიმბოლოური“? სიმბოლოურის განხილვას მე, ამ დროისთვის, გვერდზე გადავდებ, რადგან ამ საკითხს სხვა მხრიდან მოვუბრუნდებით...

„სხვა არაცნობიერი, რომელიც იქნებოდა ქალის“? ვფიქრობ, რომ პირველი შეკითხვა, რომელიც საკუთარ თავს უნდა დავუსვათ, ეხება იმის გაგებას, თუ რა ეკუთვნის გარიყულ ქალურობას იქიდან, რასაც დღეს უწოდებენ არაცნობიერს. სხვა სიტყვებით, სანამ იმისგან სრულიად განსხვავებული არაცნობიერის განსაზღვრების საკითხს დავაყენებთ, ვიდრე არაცნობიერის ამჟამინდელი განსაზღვრებაა, ალბათ უმჯობესი იქნება,

ვიკითხოთ, არის თუ არა ქალური დიდწილად მოცული ამჟამინდელი არაცნობიერის განსაზღვრებაში.

ან კიდევ: სანამ ქალისთვის *სხვა* არაცნობიერის მიცემას მოვინდომებთ, საჭიროა ვიცოდეთ, *აქვს* თუ არა ქალს არაცნობიერი, და რომელია ის? ან, ხომ არ ეკუთვნის ქალურს, ნაწილობრივ მაინც, ის, რაც არაცნობიერის სახელის ქვეშ მოქმედებს? ხომ არ არის ქალის გარკვეული „სპეციფიკურობა“ განდევნილ-ცენზურირებული იმის სახელის ქვეშ, რასაც დღეს არაცნობიერს უწოდებენ? ამრიგად, არაცნობიერისადმი მიკუთვნებული მრავალი მახასიათებელი შეიძლება მიემართოს სურვილის ისეთ ეკონომიას, რომელიც, შესაძლოა, „ქალური“ იყოს. ამიტომ, ჩვენ უნდა დავსვათ კითხვა იმის შესახებ, თუ რა ისესხა არაცნობიერმა ქალურისგან მანამ, სანამ ქალური არაცნობიერის საკითხთან მივალთ.

გარდა ამისა — დავუშვათ, რომ მივალწიეთ არაცნობიერის ამგვარ ინტერპრეტაციას, და მისი ამჟამინდელი განსაზღვრება კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენებთ იმაზე დაყრდნობით, რომ ის ქალურ სურვილს თვრავს და შეცდომით აფასებს — რა მოდალობების მიხედვით იარსებებდა ეს არაცნობიერი? ისევ ექნებოდა მას რაიმე მოდალობა? ვისთვის? იქნებ კაცებისთვის? მაგრამ ქალები? სხვა სიტყვებით, *უნდა იყოს თუ არა „ქალური სიმბოლური შრის“ ფუნქციონირება ისეთი ბუნების, რომ მასში ისევ იგულისხმებოდეს განდევნილისთვის ადგილის კონსტიტუირება?*

კიდევ ერთი შეკითხვა: თუკი არაცნობიერი დღეს გარკვეულ წილად არის ისტორიის განდევნილ-ცენზურირებული ქალურობა, ის, რაც ცნობიერების ლოგიკიდან განდევნილ-ცენზურირებულია, მაშინ ეს არაცნობიერი, საბოლოო ჯამში, განა მაინც *დისკურსის თვისება* არ არის? რა დარტყმებიც არ უნდა მიეყენებინა ფროიდს დისკურსული ლოგიკისთვის, განა არაცნობიერი მაინც ამ ლოგიკასთან არ ერთიანდება სისტემურად? და განა ეს ლოგიკა, რომელიც გარკვეულწილად თავის ამოწურვას იწყებს, თავისთვის *სარეგერვო მარაგებს* არ ჰოულობს არაცნობიერში, ისევე, როგორც *განსხვავების* ნებისმიერ ფორმაში: ველურში, ბავშვში, გიჟში, ქალში? რა კავშირია არაცნობიერის აღმოჩენასა და განსაზღვრებას, და ამ „სხვებს“ შორის, რომლებიც (არასწორად) აღიარა ფილოსოფიურმა დისკურსმა? განა ამ

დისკურსისთვის ეს არ არის „სხვის“ გარეგანად აღნიშვნის საშუალება, მაგრამ ისეთ გარეგანად, რომელიც მას მაინც შეუძლია მიიღოს „ობიექტად“ ან „თემად“, რათა თქვას ჭეშმარიტება მის შესახებ მაშინ, როცა განდევნილად ინარჩუნებს მისი განსხვავებულობის კვალს?

„შემიძლია თუ არა მოვხაზო იმ შინაარსის კონტურები, რაც შეიძლება იყოს ეს სხვა არაცნობიერი, ქალის არაცნობიერი?“ არა, რა თქმა უნდა არა, რადგან ეს იგულისხმებდა ქალურობის გამოთიშვას არაცნობიერის დღევანდელი ეკონომიიდან. ამისთვის წინ უნდა გაგვესწრო გარკვეული ისტორიული პროცესებისთვის, მათი ინტერპრეტაციისა და მოძრაობის გზა გაგვეკვალა, და ახლავე წინასწარ განგვესაზღვრა ქალური არაცნობიერის თემები და შინაარსები.

მიუხედავად ამისა, ერთ რამეზე მაინც შემიძლია მივუთითო, რაც განსაკუთრებულად უგულებელყოფილი, თითქმის შეუხებელია არაცნობიერის თეორიაში: *ქალის კავშირი დედასთან და ქალების კავშირი ერთმანეთთან.* მაგრამ მაინც, შეიძლება ეს იყოს „ქალური“ არაცნობიერის შინაარსის მონახაზი? არა. ეს მხოლოდ არაცნობიერის მუშაობის ინტერპრეტაციას სვამს კითხვის ნიშნის ქვეშ. რატომაა ფსიქოანალიტიკური თეორია და პრაქტიკა დღემდე ასეთი ღარიბი, და ასეთი რედუქციონისტული კონკრეტულად ამ საკითხებთან მიმართებაში? შეიძლება თუ არა ამ კითხვების უკეთ ინტერპრეტირება პატრიარქალური ტიპის ეკონომიისა და ლოგიკის ფარგლებში? იმ ოიდიპური სისტემატიკის ფარგლებში, რომელსაც ისინი ეყრდნობიან?

„რა პირობებშია შესაძლებელი ამგვარი გადამუშავება? პირობებში ვგულისხმობ ისტორიულ პირობებს — არაცნობიერის და/ან ფსიქოანალიზის ისტორიას და, ასევე, „პოლიტიკურ“ „მატერიალურ“ ისტორიას (აღბათ შეიძლება, ეს ორი „ისტორია“ აღვნიშნოთ როგორც სურვილის, და მისი ქმედითობის ისტორია).“

ვფიქრობ, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უკვე დაფიქრე ... „და/ან ფსიქოანალიზის“ შესახებ, აღბათ, შემიძლია დამატებით დავაზუსტო ცოტა რამ. მგონია, რომ ეს გადამუშავება ნამდვილად შეუძლებელია,

სანამ ფსიქოანალიზი თავის ველში რჩება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს შეუძლებელია იყოს მხოლოდ შიდა ანალიტიკური პროცესი. პრობლემა ის არის, რომ ფსიქოანალიზი საერთოდ, ან თითქმის არ სვამს შეკითხვას თავისი ისტორიული განსაზღვრულობის შესახებ. არადა, სანამ ის ამით არ ინტერესდება, მას სხვა არაფერი შეუძლია, გარდა იმისა, რომ კვლავ და კვლავ ერთი და იგივე პასუხი გასცეს ქალის სექსუალობის საკითხს.

ისტორიული განმსაზღვრელების არასაკმარისად გამოკვლევა, ცხადია, სისტემურ კავშირშია პოლიტიკურ და მატერიალურ ისტორიასთან. სანამ ფსიქოანალიზი ინტერპრეტირების მეშვეობით არ განმარტავს საკუთარი თავის მომწვევდებულობას საკუთრების გარკვეული ტიპის რეჟიმში, გარკვეული ტიპის დისკურსში (პირდაპირ რომ ვთქვათ, მეტაფიზიკურ დისკურსში), გარკვეული ტიპის რელიგიურ მითოლოგიაში, მანამდე მას არ შეუძლია საკუთარ თავს დაუსვას კითხვა ქალური სექსუალობის შესახებ. მართლაც, ეს უკანასკნელი, ვერ დაიყვანება ფსიქოანალიზის თეორიული და პრაქტიკული ველის ერთ-ერთ რეგიონულ საკითხამდე; ამის მაგივრად, ის საჭიროებს ამ ველის საფუძველმდებარე კულტურული კაპიტალისა და ზოგადი ეკონომიის ინტერპრეტირებას.

„თუ, როგორც მარქსი ვარაუდობდა, კაცობრიობა/ადამიანი საკუთარ თავს მხოლოდ ისეთ ამოცანებს უსვამს, რომელთა გადაჭრაც შეუძლია, შეიძლება თუ არა, ქალების მიმართ არსებული „ინტერესიდან“ გამომდინარე ითქვას, რომ ეს გადამუშავება უკვე მიმდინარეობს პრაქტიკული (ან თეორიული) ფორმით? და სად?“

თუ არ ვცდები, მარქსი იმასაც ამბობს, რომ ისტორია არის ის პროცესი, რომლის მეშვეობითაც კაცი საკუთარ თავს აჩინს.

თუ ისტორია არის კაცის მიერ კაცის წარმოქმნის, კაცის თვით-წარმოქმნის პროცესი - განაცხადი, რომელიც, როგორც მგონია, არ არის მეტაფიზიკურ წინასწარდაშვებებს მოკლებული - მაშინ იმის თქმა, რომ „კაცობრიობა/ადამიანი საკუთარ თავს მხოლოდ იმ ამოცანებს უსვამს, რომელთა გადაჭრაც შეუძლია“, განა ისევ მხოლოდ კაცებს არ

გულისხმობს? შესაძლებელია კი, მარქსის თანახმად, რომ ეს სხაგვარად იყოს [კაცობრიობის] ისტორიაში?⁶

„შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ეს გადაშეშება უკვე მიმდინარეობს პრაქტიკული (ან თეორიული) ფორმით?“ კითხვის ამ ფორმას და მარქსის ამგვარ მოხმობას, პირველ ეტაპზე, მე შემიძლია მხოლოდ ის ვუპასუხო, რომ კაცებისთვის, შესაძლოა, ეს მართლაც ასეა... შესაძლოა, პრაქტიკული თუ თეორიული კუთხით, ისინი იმ ამოცანის ამოხსნის პროცესში არიან, რომელსაც მათთვის ქალთა პრობლემა წარმოადგენს. ამის ნიშან-სიმპტომი შეგვიძლია ამოვიკითხოთ პოლიტიკურ სტრატეგიაში — მემარცხენეებისა იქნება, თუ მემარჯვენეებისა — და გარკვეულ "მოტივებსა" თუ პრობლემატიკაში, რომლებიც დღეს "საპატივცემულო", ან, უფრო მეტიც, "მოდურია" კულტურულ ბაზარზე.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საკითხის გადაჭრა იწყება „ქალების მხრიდან“? ვფიქრობ, ეს სულ სხვა საკითხია. რადგან, თუ ეს საკმარისია იმისთვის, რომ ქალმა დაიწყოს ქალების მხრიდან თავისი გამოსავლის პოვნა, ეს ნიშნავს, რომ არასოდეს იარსებებს "სხვა" ქალი. მაშინ ქალის სხვაობა კვლავ იქნება კაცურ დისკურსსა და პრაქტიკაში შეწოვილი და მასზე დაყვანილი. შესაბამისად, ამჟამინდელი ინტერესი, რომელსაც კაცები ავლენენ ქალების მიმართ, ქალისთვის ერთდროულად აუცილებელიცაა, და გაუცხოების გაორმაგების რისკის შემცველიც: კაცების ენაში, მათ პოლიტიკაში, მათ ეკონომიკაში, როგორც ვინჩრო, ისე ზოგადი გაგებით.

სირთულეს ის წარმოქმნის, რომ ვერ იქმნება ქალის მიერ ნაწარმოები „ქალის დისკურსი“, და ის, რომ პოლიტიკური პრაქტიკა, ყოველ შემთხვევაში დღესდღეობით, თავიდან ბოლომდე კაცურია. იმისთვის, რომ ქალებმა შეძლონ საკუთარი ხმის გაჟღერება, პოლიტიკის მოაზრებისა და წარმართვის წესის „რადიკალური“ ევოლუციაა აუცილებელი. ამის ერთბაშად მიღწევა, ცხადია, შეუძლებელია.

⁶ ამ საკითხის სიღრმისეული განხილვისთვის იხ. ესე „ქალების ბაზარი“, მე-8 თავი ამავე წიგნში.

მაშ, რა ტიპის მოქმედებაა დღესდღეობით შესაძლებელი ქალებისთვის? უნდა დარჩეს თუ არა მათი ინტერვენციები მარგინალური სოციალური სტრუქტურის მთლიანობის მიმართ?

B. — რას გულისხმობთ „მარგინალურში“?

მე განსაკუთრებით ქალთა განმათავისუფლებელ მოძრაობებზე ვფიქრობ. იქ იქმნება რაღაც, რაც დაკავშირებულია „ქალურთან“, იმასთან, რაც შეიძლება იყოს ქალთა-შორისობა, იმასთან, რასაც შეიძლება ნიშნავდეს „ქალთა საზოგადოება“. მარგინალურობაზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ, უპირველეს ყოვლისა, ეს მოძრაობები განზრახ შორდებიან ინსტიტუტებს და ძალაუფლებრივ ძალთა თამაშს, და ა.შ. — უკვე არსებული ძალაუფლებრივი ურთიერთობების „გარეთ“ პოზიციონირებენ. ზოგჯერ ისინი ყოველგვარი ინსტიტუტის წინააღმდეგ ინტერვენციას — მათ შორის ინტერვენციას "გარედან" — უარყოფენ კიდევ.

ეს „პოზიცია“ აიხსნება იმ სირთულეებით, რომლებსაც ქალები აწყდებიან, როდესაც თავიანთი ხმის ისეთ ადგილებში გაუღერებას ცდილობენ, რომლებიც უკვე განსაზღვრულია იმ საზოგადოების შიგნით და მის მიერ, რომელიც ერთდროულად იყენებს და გამორიცხავს მათ, და რომელიც აგრძელებს კონკრეტულად მათი „მოთხოვნების“ სპეციფიკურობის უგულებელყოფას მაშინაც კი, როცა წინ წამოწევს მათ ზოგიერთ თემასა თუ, უფრო მეტიც, ლოზუნგს. ამ პოზიციის გაგება ასევე შესაძლებელია ქალების საჭიროებიდან გამომდინარე, შექმნან ქალთა-შორისი ადგილი, რათა ისწავლონ თავიანთი სურვილების გამოთქმა შემანუხებელი უშუალო ზენოლისა და ჩავჯრის მიღმა.

რა თქმა უნდა, ქალებისთვის გარკვეული შედეგები მიღწეულ იქნა დიდწილად განმათავისუფლებელი მოძრაობების წყალობით: კონტრაცეფციისა და აბორტის ლიბერალიზაცია და ა.შ. ეს მიღწევები საშუალებას იძლევა, რომ ახლებურად დაისვას საკითხი იმის შესახებ, თუ რა შეიძლება იყოს ქალის სოციალური სტატუსი — განსაკუთრებით კი მისი გამიჯვნის გზით მხოლოდ რეპროდუქციულ-დედობრივი ფუნქციისგან. მაგრამ ეს მიღწევები ასეთივე წარმატებით შეიძლება იქნას

ქალების წინააღმდეგ მიმართული. სხვა სიტყვებით, ეს ყველაფერი ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ქალურ პოლიტიკაზე ვილაპარაკოთ; აქ მხოლოდ ამ უკანასკნელის შესაძლებლობის გარკვეულ პირობებზე თუ ვისაუბრებთ. ამ პირობებს შორის პირველი არის ქალების მიერ განცდილი ექსპლუატაციის შესახებ დუმილის დასრულება: განმათავისუფლებელი მოძრაობების მხრიდან „გაჩუმებაზე“ სისტემატიურად უარის თქმის პრაქტიკა. (იხ. აგრეთვე კითხვები II და III.)

„თუკი საჭიროა, რომ სხვა სიმბოლოებზე, სხვა არაცნობიერზე ვილაპარაკოთ (საჭიროა კი?), განა ეს (იგივე) სიმეტრიის სხვა ოცნება არ გამოვა?“

მგონი, ეს კითხვა იმას გულისხმობს, რომ აბსოლუტურად წარმოუდგენელია, არსებობდეს რაიმე „სხვა“; რომ თუ რაიმე „ქალური“ გაჩნდება, ისიც აუცილებლად დაეფუძნება იმავე მოდელს, რომელიც ისტორიულად კაცურმა „სუბიექტებმა“ შექმნეს; მოდელს, რომელიც უპირატესობას ანიჭებს სიმეტრიას, როგორც სხვისი არალიარებით ამ სხვაზე ბატონობის შესაძლებლობის პირობას; ფალოკრატულ მოდელს. საქმე ისაა, რომ სინამდვილეში, „კაცური“ ენის შესახებ ზუსტად არაფერი ვიცით. მანამ, სანამ კაცები იბრალებენ, რომ მთლიანობას ამბობენ და მთლიანობას განსაზღვრავენ, როგორ შეიძლება ვიცოდეთ, რა შეიძლება იყოს მამრობითი სქესის ენა? მანამ, სანამ დისკურსული ლოგიკა სქესობრივ განუსხვავებლობას, ერთი სქესის მიერ მეორეს დამორჩილებას ეფუძნება, როგორ გვეცოდინება რაიმე „კაცურობის“ შესახებ? მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ისტორიულად სწორედ კაცებმა დაანესეს ბატონობის ეს მოდელი, და შეგვიძლია ვცადოთ იმის გაგება, თუ რა კავშირი არსებობს ამ მოდელსა და მათ სექსუალობას შორის.

რაც შეეხება სიმეტრიულობისთვის უპირატესობის მინიჭებას, ის შესაბამისობაშია *ბრტყელ სარკესთან* — რომელიც კაცურმა სუბიექტმა ენაში საკუთარი თავის არეკვლისთვის შეიძლება გამოიყენოს, საკუთარი თავის დისკურსის სუბიექტად კონსტრუირებისთვის. ქალი კი, თუ ის

მხოლოდ ამ ბრტყელი სარკის ამარა იქნება, მხოლოდ კაცური სუბიექტის შებრუნებულ სხვად შეიძლება იქცეს (მის ალტერ-ეგოდ), ან მისი (ფალიკური) სურვილის გამომწვევი მიზეზის წარმოქმნისა და შეფარვის ადგილად, ან კიდევ — ნაკლულობად, რადგან მისი სქესის უმეტესი ნაწილი — და ის ერთადერთი ნაწილი, რომელიც ისტორიულად დაფასებული იყო — არ არის სარკეში არეკვლადი. ამრიგად, „ქალური“ სურვილის გაჩენისას, ამ ბრტყელ სარკეს ვერ მიენიჭება უპირატესობა, და სიმეტრიულობა ვერ იფუნქციონირებს ისე, როგორც ის მუშაობს კაცური სუბიექტის ლოგიკასა და დისკურსში. (იხ. ასევე კითხვა I, 3.)

„Libération-თან ინტერვიუში თქვენ ეწინააღმდეგებით თანასწორობის ცნებას. ამაში ჩვენ ვთანხმდებით. მაგრამ რას ფიქრობთ „ქალის ძალაუფლების“ (woman power) იდეაზე? თუ ქალი წინ წაინევიდა (ისტორიაშიც და არაცნობიერშიც, რომელიც, მართლაც, 'მხოლოდ' ჰომ[მ]ოსეფსუალურია⁷), რა შედეგი მოჰყვებოდა ამას: ქალური ძალაუფლება უბრალოდ ჩაანაცვლებდა კაცურ ძალაუფლებას? მშვიდობიანი თანაცხოვრება გვექნებოდა? თუ რა?“

ნება მომეცით, დავაზუსტო: ვფიქრობ, არ უნდა ვიჩქაროთ იმის თქმა, რომ არაცნობიერი მხოლოდ ჰომ(მ)ოსეფსუალურია. ის, რომ არაცნობიერი ქალურობას ინახავს ან ინარჩუნებს როგორც ცენზურირებულს და განდევნილს ცნობიერების ლოგიკისა და ისტორიის ლოგიკისგან (რაც, საბოლოო ჯამში, ერთი და იგივეა), სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არაცნობიერი ცალსახად ჰომ(მ)ოსეფსუალურია. ის, რაც ჰომ(მ)ოსეფსუალურია, არის არაცნობიერის რედუქციულად (ვინაშე გამარტივებულად) ინტერპრეტირება, და მის მიერ ცენზურისა და განდევნის შენარჩუნება.

⁷ ირიგარე ძმურ წესრიგს „ჰომ(მ)ოსეფსუალობას“ უწოდებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ერთდროულად იგივეობრიობის (homo) წესრიგითაა, და კაცების (homm) წესრიგით: სქესობრივი ინდიფერენტულობის რეჟიმში უგულებელყოფს ქალებს შორის, განსაკუთრებით კი დედებსა და ქალიშვილებს შორის ურთიერთობებს, და ქალებს აქცევს კაცებისთვის ერთმანეთთან დაკავშირების საშუალებად, პოლიტიკური ორგანიზმის დაფარულ საყრდენად და მაცოცხლებელ რესურსად. (მთარგმნელის შენიშვნა)

ცხადია, საკითხს ვერ გადაწყვეტს ქალური ძალაუფლების მიერ კაცური ძალაუფლების ჩანაცვლება, რადგან ამგვარი შებრუნება ისევ მომწყვდევლი იქნებოდა იგივეობრიობის ეკონომიაში, იგივე ეკონომიაში, რომელშიც, რა თქმა უნდა, ვერ იქნება ადგილი იმისთვის, რასაც ვცდილობ, „ქალურით“ აღვნიშნო. ეს იქნებოდა ფალიკური „ძალაუფლების ხელში ჩაგდება“, რაც, ყველაფერთან ერთად, შეუძლებელი მგონია: ქალები შეიძლება ამაზე „ოცნებობდნენ“, ზოგჯერ შეიძლება ეს განხორციელდეს კიდევ მარგინალურად, შეზღუდულ ჯგუფებში, მაგრამ მთლიანი საზოგადოებისთვის ძალაუფლების ასეთი ჩანაცვლება, ძალაუფლების ასეთი ამოტრიალება შეუძლებელია.

მშვიდობიანი თანაცხოვრება? მაინცდამაინც კარგად არ მესმის, ეს რას უნდა ნიშნავდეს. ვფიქრობ, რომ მშვიდობიანი თანაცხოვრება არ არსებობს. ეს არის ძალაუფლებისა და ომის ეკონომიის სატყუარა. კითხვა, რომელიც შეიძლება დავსვათ ამის ნაცვლად, შემდეგია: მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი გამართულია და მუშაობს ისე, თითქოს შეუძლებელია არსებობდეს რაიმე სხვა, გარდა „იგივეს“ სურვილისა, *მაინც რატომ ვერ იარსებობდა „სხვის“ სურვილი?* განსხვავებულობის სურვილი, რომელიც მუდმივად და მარადიულად არ მოექცეოდა „ერთგვაროვნების/იგივეობრიობის“ ეკონომიის ხაფანგის შიგნით? შეიძლება თქვათ, რომ ეს ჩემი ოცნებაა, ან რომ ეს მხოლოდ მორიგი ოცნებაა. მაგრამ რატომ? კიდევ ერთხელ, ძალაუფლების გადატრიალებას ან მის ჩანაცვლებას ვერ ექნებოდა სხვისი — „ქალურის“ — „მოსვლის“ მნიშვნელობა. მაგრამ რატომ უნდა იყოს შეუძლებელი, რომ არსებობდეს განსხვავებულობის სურვილი, სურვილი სხვისა? გარდა ამისა, იგივეობრიობის დისკურსის მიერ სხვაობის ყოველგვარი შთანთქმა განა სწორედ განსხვავებულობის სურვილს არ გულისხმობს, ოღონდ ისეთ სურვილს, რომელიც ყოველთვის ვითომდა — სამარცხვინო ფსიქოლოგიური ენით რომ ვთქვათ — „შიშისმომგვრელია“? და რომელიც ამიტომ, მუდმივად „დათარულად“ ინარჩუნებს — როგორც ფობიას — სექსუალური ურთიერთობისა და სქესობრივი განსხვავებულობის საკითხს.

*

ახლა, ნება მომეცით, თქვენი კითხვების მეორე ნაწილზე გადავიდე, „მოსაუბრე (როგორც) ქალი“-ს შესახებ.

„უნდა ვთქვათ: სხვა სქესი = სხვა წერა
სხვა სქესი = სხვა საზრისი? რატომ?“

შევვიძლია თუ არა, რომ წერა და საზრისი უბრალოდ დავეუპირისპიროთ ერთმანეთს, ან ერთმანეთის ალტერნატივებად წარმოვიდგინოთ ისინი?

B. — ჩვენ ვგულისხმობთ ურთიერთშემავსებლობას და არა ალტერნატივას. წერა და საზრისი: ორი რამ, რაც იკვეთება, მაგრამ არ არის იგივე. წერა მოქმედებს შედეგების დონეზე; თუ შესაძლებელია საუბარი (როგორც) ქალის, წერა ამის შედეგი უნდა იყოს. საზრისი უფრო მეტად ეხება არაქნობიერის, ქალური არაქნობიერის საკითხს...

— ამ ალტერნატივას, არ ვიცი, როგორ ვუპასუხო...

B. — შეკითხვა ეხება უფრო მეტად წევრებს შორის ტოლობას (ტოლობის ნიშანს), და არა ამ ორი ფორმულირების ალტერნატიულობას.

— არ ვიცი, წერა „შედეგის“ მხარეს თავსდება, თუ „მიზნისა“ ... გააჩნია, ამ ცნებას როგორ განვმარტავთ. მგონია, რომ სხვა წერა აუცილებლად გულისხმობს საზრისის სხვა ეკონომიას. ამის საფუძველზე, შეიძლება ვიკითხოთ, არის თუ არა ყველა მწერლობა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს თავის იერარქიულ მიმართებას სქესთა განსხვავებასთან, ისევ და ისევ, როგორც ყოველთვის, ერთდროულად მანარმოებელიც

და წარმოებულ იქნა საკუთრივი საზრისის ეკონომიის შიგნით. მანამ, სანამ ის ერთი სქესის მიერ არის „განსაზღვრული“, „განხორციელებული“, „მონოპოლიზირებული“, მწერლობა ხომ კვლავ რჩება საკუთრების უცვლელი რეჟიმის შიგნით წარმოების საშუალებად?

მაგრამ ამ კითხვას შეიძლება პასუხი გავცეთ სხვაგვარადაც — თუმცა არა მაინც და მაინც „სწორად“... —, პლატონის გავლით. პლატონთან ორგვარი მიმეზისი⁸ გვხვდება. რომ გავამარტივოთ: გვხვდება მიმეზისი, როგორც წარმოქმნა, რომელიც უფრო მეტად მუსიკის სფეროს განეკუთვნება, და გვხვდება ასევე მიმეზისი, რომელიც იმთავითვე ჩართულია მიბაძვის, არეკვლის, შესაბამისობისა და კვლავწარმოების პროცესში. სწორედ მეორე ფორმას ენიჭება უპირატესობა ფილოსოფიის მთელ ისტორიაში, რის შედეგ-სიმპტომებსაც — როგორცაა ლატენტურობა, ტანჯვა, სურვილის პარალიზება — ვხვდებით ისტერიაში. როგორც ჩანს, პირველი ფორმა ყოველთვის განდევნილი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ის ანკლავად ჩამოყალიბდა "დომინანტური" დისკურსის ფარგლებში. თუმცა ეჭვგარეშეა, რომ სწორედ პირველი მიმეზისის მხრიდან და მისგან გამომდინარე შეიძლება წარმოიშვას ქალის წერის შესაძლებლობა. ჩვენ დაუვბრუნდებით ამ საკითხს, როცა ისტერიის შესახებ კითხვებზე გადავალთ.

„რა არის ორმაგი სინტაქსი (მამრობითი-მდედრობითი)?“

ეს გამოთქმა მიემართება იმ ფაქტს, რომ ფროიდს, ცნობიერ და არაცნობიერ სინტაქსს შორის იერარქიის დამყარების და ერთის მეორესთვის დაქვემდებარების ნაცვლად, ანუ, მათ „ზედად“ და „ქვედად“ განსაზღვრის ნაცვლად, ალბათ შეეძლო, ისინი ორ განსხვავებულ სინტაქსად გამოეკვეთა და ასე ჩაება ისინი საერთო თამაშში.

სხვა გზით რომ ვუპასუხო: ხომ შეიძლება ითქვას, რომ კაცურობა სწორედ იმიტომ ინარჩუნებს დისკურსზე ბატონობას, რომ მან აწარმოა სინტაქსი, და მას ჯერ კიდევ „განკარგავს“? ამ სინტაქსის ფარგლებში, ამ

⁸ ტერმინი, რომელიც ხშირად გამოიყენება ფილოსოფიაში და მოიცავს სხვადასხვა მნიშვნელობებს, მათ შორის იმიტაციას, მსგავსებას, მიმღებლობას, მიმიკრიას, რეპრეზენტაციას, გამოხატვის ქმედებას. ირიგარესთან მისი გამოყენება წინააღმდეგობის ფორმაა.

დისკურსულ წესრიგში, ქალი, მიუხედავად იმისა, რომ მიჩქმალულია, ყველაზე ხშირად კი სწორედ ქალად ყოფნაშია დამალული და სუბიექტად არმყოფი, ახერხებს შექმნას „საზრისი“ — სისხლი? — ახერხებს შექმნას „შინაარსი“. დისკურსის, დისკურსული ლოგიკის ეს სინტაქსი და, უფრო ზოგადად, სოციალური ორგანიზების სინტაქსი, ეს „პოლიტიკური“ სინტაქსი განა არ არის კაცურობისთვის მუდამ (სხვაგვარად როგორ იქნებოდა? ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ სხვის სურვილი არ არსებობს) ერთგვარი ინსტრუმენტი თავ-მოყვარეობის, თვით-წარმოების ან თავისი თავის კვლავწარმოების, თვით-წარმოშობისა თუ თავისი თავის წარმოდგენისა საკუთარი თავის წინაშე, როგორც იგივესი, როგორც იგივეს ერთადერთი ეტალონისა? და რადგან კაცურ თვით-მოყვარეობას ინსტრუმენტები სჭირდება — ქალისგან განსხვავებით, საკუთარ თავის შესახებ კაცს ინსტრუმენტები სჭირდება: ქალის ხელი, სქესი და სხეული, ენა — განა ეს სინტაქსი ძალაუვნებურად, ეკონომიკური ლოგიკის მიხედვით, ყველაფერს საკუთარი თავის მოსასიყვარულელად არ იყენებს? მაშინ, როცა „სხვა“ სინტაქსი, ის, რომელიც ქალურ „თავ-მოყვარეობას“ შესაძლებელს გახდიდა, გვაკლია, განდევნილია, ცენზურირებულია: ქალური ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ კაცური თავმოყვარეობის მიერ და მისთვის იყო გამოყენებული. მაშასადამე, ასამოქმედებელია სინტაქსი, რომელიც შესაძლებელს გახდის ქალის „თავ-მოყვარეობას“. „თავ-მოყვარეობას“, რომელიც, რა თქმა უნდა, ვერ იქნება დაყვანილი ერთის იგივეობის ეკონომიამდე, და რომლის სინტაქსი და საზრისი ჯერ კიდევ საპოვნელია. (იხ. "ეს სქესი, რომელიც არ არის მარტოდმარტო", თავი 2, "სითხეების მექანიკა", თავი 6 და "როცა ჩვენი ტუჩები ერთმანეთს ესაუბრებიან", თავი 11.)

ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი, რასაც თსიქონალიზმი გვთავაზობს — კერძოდ ის, რომ გოგონების მასტურბაცია მიჩნეულია იმის კეთებად, „რასაც ბიჭუნები აკეთებენ“ — სრულ აცდენაშია იმასთან, რაც შეიძლება იყოს ქალის „თავ-მოყვარეობა“. საქმე ისაა, რომ ქალი საკუთარ თავზე არ მოქმედებს კაცური „მოდელის“ მიხედვით, არ ახორციელებს „თავ-მოყვარეობის“ მსგავს პრაქტიკას. „გაუგონრად“ მიიჩნევა — და შესაძლოა ეს იყოს ერთ-ერთი, თუმცა არა ერთადერთი

ახსნა იმ ფაქტისა, რომ ქალის, როგორც სხვის აღიარება ასე გვიან ხდება და იმისა, რომ ენასთან მისი ურთიერთობა საკმაოდ პრობლემურია — ის, რომ ქალს შეუძლია საკუთარ თავზე ზემოქმედება „ინსტრუმენტების“ გარეშე, რომ ქალს შეუძლია თვითონვე შეეხოს თავის თავს, „საკუთარი თავის შიგნით“, ყოველგვარი ინსტრუმენტის გამოყენებამდე. ამ გადმოსახედიდან, მისთვის მასტრურბაციის აკრძალვა სასაცილოც კია. როგორ უნდა აეკრძალოს ქალს საკუთარი თავის შეხება? მისი სქესი, „თავის თავშივე“, მუდმივად ეხება საკუთარ თავს. თუმცა ძალ-ღონეს არ დაიშურებენ ამ შეხების დასაბრკოლებლად, ქალისთვის იმის დასაშლელად, რომ საკუთარ თავს შეეხოს: მხოლოდ მამრობითი სქესის დაფასება, ფალოსის იმპერია, მისი საზრისის ლოგიკა და მისი რეპრეზენტაციული სისტემა — ყოველი მათგანი თავისებური გზაა იმისა, რომ ქალი ქალისგან მოიკვეთება და ქალს „თავ-მოყვარეობა“ ჩამოერთმევა.

სხვათა შორის, აქედან გამომდინარე ცხადი ხდება, თუ რატომ არ აქვთ ქალებს სურვილები, რატომ არ იციან, თუ რა უნდათ: ისინი იმდენად განუკურნებლად არიან საკუთარ „თავ-მოყვარეობას“ მონყვეტილები, რომ თავიდანვე, განსაკუთრებით კი ოიდიპური კომპლექსიდან მოყოლებული, ისინი განდევნილები არიან საკუთარი თავისგან, და - ყოველგვარ შესაძლებლობას მოკლებულნი, რომ ჰქონდეთ რაიმე შესაძლო უწყვეტობა ან მომიჯნავეობა თავიანთ პირველად სურვილებთან და სიამოვნებებთან - ისინი გატაცებულნი და ჩასმულნი არიან სხვა ეკონომიაში, რომელშიც საერთოდ ვერ პოულობენ საკუთარ თავს.

უფრო სწორად, ისინი, ცნობილი ანდაზისა არ იყოს, საკუთარ თავს იქ *მასკარადში* აღმოაჩენენ. ფსიქოანალიტიკოსები ამბობენ, რომ მასკარადი ქალის სურვილს შეესაბამება. ეს მე გამართლებულად არ მეჩვენება. მე ვფიქრობ, რომ მასკარადი უნდა გავიგოთ, როგორც ის, რასაც ქალები აკეთებენ, რათა სურვილის რაიმე ნაწილი მაინც აღიდგინონ, მონაწილეობა მიიღონ კაცის სურვილში, მაგრამ საკუთარ სურვილზე უარის თქმის ფასად. მასკარადში ისინი ემორჩილებიან სურვილის დომინანტურ ეკონომიას, რათა, ყველაფრის მიუხედავად,

როგორმე „დარჩნენ ბაზარზე“. მაგრამ ისინი იქ რჩებიან იმად, ვისითაც ტკბებიან, და არა იმად, ვინც ტკბებიან.

რას ვგულისხმობ მასკარადში? იმას, რასაც ფროიდი „ქალურობას“ უწოდებს. მაგალითად იმ რწმენას, რომ ქალად გარდაქმნაა საჭირო, თანაც „ნორმალურ“ ქალად, მაშინ, როცა კაცი თავიდანვე კაცია. მას მხოლოდ თავისი კაცურობის აღსრულებლა დარჩენია, მაშინ როცა ქალი ნორმალურ ქალად უნდა იქცეს, ანუ შევიდეს ქალურობის მასკარადში. ქალის ოიდიპური კომპლექსი, საბოლოო ჯამში, ქალის შესვლაა იმ ფასეულობათა სისტემაში, რომელიც არ არის მისი, და რომელში „გამოჩენა“ და ცირკულირებაც მას მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა გარშემორტყმულია სხვების, კერძოდ, კაცების მოთხოვნილებებისურვილები-ფანტაზიებით.

მაგრამ თუ ასეა, რა შეიძლება იყოს ქალური სინტაქსი? ეს არც მარტივი საკითხია და არც სათქმელადაა ადვილი, რადგან ამ „სინტაქსში“ აღარ იქნება არც სუბიექტი და არც ობიექტი, „ერთი“ აღარ იქნება უპირატესი, აღარ იარსებებს საკუთრივი საზრისები, საკუთარი სახელები, „კუთვნილი“ თვისებები... ამის ნაცვლად, ეს „სინტაქსი“ სიახლოვეს მოიცავდა, თან-ყოფნას, მაგრამ ისეთი უკიდურესი ფორმით, რომ გამოირიცხებოდა იდენტობების ყოველგვარი გამოყოფა, საკუთრების ნებისმიერი დამკვიდრება, შესაბამისად, მითვისების ნებისმიერი ფორმა.

„შეიძლიათ ამ სინტაქსის რამდენიმე მაგალითი მოიყვანოთ?“

ვფიქრობ, რომ ის ყველაზე მეტად თვალსაჩინოა ქალების სხეულებრივ უესტიკულაციაში. მაგრამ რადგან მათი უესტიკულაცია ხშირად პარალიზებული, ან მასკარადის ნაწილია, ხშირ შემთხვევაში მათი „ნაკითხვა“ ჭირს. რჩება ის, რაც წინააღმდეგობას უწევს ან თავს ინარჩუნებს ამის „მიღმა“. ტანჯვაში, მაგრამ ასევე ქალების სიცილში. და ასევე: იმაში, რასაც ისინი „ბედავენ“ — გააკეთონ ან თქვან — როცა ერთმანეთს შორის არიან.

ეს სინტაქსი ასევე შეიძლება გავიგონოთ, თუ ყურებს საზრისით არ დავიხშობთ, იმ ენაში, რომელსაც ქალები ფსიქოანალიზში იყენებენ.

ასევე, სულ უფრო და უფრო მეტი ტექსტი იწერება ქალების მიერ, რომლებშიც სხვაგვარი წერა საკუთარ თავს ამკვიდრებს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ის ჯერ კიდევ შევიწროებულია დომინანტური დისკურსის მიერ. ჩემი მხრივ, მე ვეცადე ეს სინტაქსი გამეთამაშებინა *სხვა ქალის სპეკულუმში*, მაგრამ ეს არ იყო მარტივი, იმდენად, რამდენადაც ყოველი ასეთი უესტი მავალდებულებდა, უკან დავბრუნებულიყავი კაცური წარმოსახვითი შრის გავლით. ამდენად, მე არ შემეძლო, მე არ შემეძლია — და ვერ ვხედავ, თუ როგორ უნდა შეძლოს ეს რომელიმე ქალმა —, ერთბაშად და აუღელვებლად გადავიდე ამ სხვა სინტაქსურ ფუნქციონირებაში.

„რა კავშირი თუ უკავშირობა არსებობს (როგორც)-ქალის-ლაპარაკსა და ქალებს-შორის-ლაპარაკს შორის?“

შეიძლება არსებობდეს ქალებს-შორის-ლაპარაკი, რომელიც ჯერაც კაცის-ლაპარაკია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ის ადგილიც შეიძლება იყოს, სადაც (როგორც)-ქალის-ლაპარაკი თავის გამომჟღავნებას ბედავს. ეჭვგარეშეა, რომ ქალების-ერთმანეთს-შორის-ყოფნასთან ერთად (და სწორედ ეს არის განმათავისუფლებელი მოძრაობების ერთ-ერთი მიზანი, როდესაც ისინი არ ორგანიზდებიან კაცური ძალაუფლების მოდელის მიხედვით, და არ არიან ორიენტირებულნი „ძალაუფლების“ მოპოვების ან აყირავების მოთხოვნებზე), ქალებს-შორისობის ამ ადგილებში (როგორც)-ქალის-ლაპარაკის ფრაგმენტები უღერდება. სწორედ ამით იხსნება ექსკლუზიურობის სურვილი ან აუცილებლობა: დომინანტური ენა იმდენად ძლიერია, რომ ქალები ვერ ბედავენ (როგორც)-ქალის-ლაპარაკს ექსკლუზიურად ქალების სივრცის გარეთ.

„რა კავშირია (როგორც)-ქალის-ლაპარაკსა და ქალზე ლაპარაკს შორის?“

(როგორც)-ქალის-ლაპარაკი არ არის იგივე, რაც ქალზე ლაპარაკი. საქმე ისეთი დისკურსის წარმოება არ არის, რომლის ობიექტიც, ან სუბიექტიც ქალი იქნება.

აქვე აღვნიშნავ, რომ (როგორც)-ქალის-ლაპარაკის მეშვეობით შეგვიძლია ვცადოთ ქალურისთვის, როგორც „სხვისთვის“ ადგილი გავაჩინოთ. –

C. — „იგულისხმება თუ არა თქვენს დისკურსში, რომ ქალის სხვაობის ჩამოყალიბება გულისხმობს კაცის სხვაობის ჩამოყალიბებასაც?“

თუ თქვენი შეკითხვა სწორად გავიგე, მაშინ დიახ. მაგრამ ნუთუ ჩემი საქმეა „სხვა“ კაცის შესახებ ლაპარაკი? საინტერესოა, რომ მე მუდმივად მისვამენ ამ შეკითხვას. ეს მე ძალიან სახალისოდ მეჩვენება... გამუდმებით მეკითხებიან, თუ როგორი იქნება ის „სხვა“ კაცი. რატომ უნდა მივისაკუთრო მე ამ „სხვა“ კაცის სათქმელი? მე რაც მინდა, და რის ნახვასაც ველოდები, არის ის, თუ რას გააკეთებენ და რას იტყვიან კაცები, თუ მათი სექსუალობა თავს დაიხსნის ფალოკრატის იმპერიისგან. მაგრამ ქალის საქმე არ არის, ეს წინასწარ განსაზღვროს, განჭვრიტოს თუ დაანესოს...

ეს უკვე გარკვეულწილად პასუხობს შემდეგ შეკითხვასაც, რომელიც ეხება „(როგორც)-ქალის-ლაპარაკსა და (როგორც)-ქალის-ლაპარაკს კაცების შესახებ“. მე ვფიქრობ, რომ (როგორც)-ქალის-ლაპარაკს უფრო მეტი არ აქვს სათქმელი კაცებზე, ვიდრე ქალზე. ის გულისხმობს კაცურ და ქალურ სურვილსა და ენას შორის განსხვავებული არტიკულირების ფორმას, მაგრამ ეს არ ნიშნავს კაცების შესახებ ლაპარაკს, რაც, კიდევ ერთხელ, იქნებოდა დისკურსის ეკონომიის ერთგვარი შებრუნება. (როგორც)-ქალის-ლაპარაკი, სხვა ყველაფერთან ერთად, ქალებს იმის საშუალებას აძლევს, ელაპარაკონ კაცებს.

„(როგორც)-ქალის-ლაპარაკი და (როგორც)-ისტერიულის-ლაპარაკი?“

მინდა ვიკითხო, რას ნიშნავს „(როგორც)-ისტერიულის-ლაპარაკი“? ლაპარაკობს კი ისტერიული? განა ისტერია იმის შენარჩუნების განსაკუთრებული ადგილი არ არის — ოღონდ „ლატენტურად“, „ტანჯვაში“ შენარჩუნების — რაც არ ლაპარაკობს? კონკრეტულად კი

(ფროიდის მიხედვითაც კი...) იმისა, რაც არ გამოითქმება ქალის მიმართების შესახებ დედასთან, საკუთარ თავთან, სხვა ქალებთან. ქალების იმ პირველადი სურვილების ასპექტებისა, რომლებიც დუმილამდე დაყვანილები აღმოჩნდებიან იმ კულტურის ფარგლებში, რომელიც არ იძლევა მათი გამოთქმის ნებართვას. „თქმის“ უძლეობა, რომელსაც შემდგომში ოიდიპოსის კომპლექსი ზედ დააშენებს დადუმების კანონს.

ისტერია — ის ლაპარაკობს პარალიზებული ფესტიკულაციის რეჟიმში, შეუძლებელი და ასევე აკრძალული მეტყველების რეჟიმში... ის ლაპარაკობს იმის სიმპტომებად, რომ „მას არ შეუძლია არც საკუთარ თავთან ლაპარაკი, არც საკუთარი თავის თქმა“... და ისტერიის დრამა ის არის, რომ ის გახლეჩილია, ერთი მხრივ, ამ ფესტიკულარულ სისტემას, ამ პარალიზებულ და საკუთარ სხეულში მომწყვდეულ სურვილსა და, მეორე მხრივ, ენას შორის, რომელიც ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში ისწავლა, და რომელიც ვერანაირად ვერ აგრძელებს — და, ცხადია, ვერც მეტაფორულად აღწერს — მისი სურვილის „მოძრაობებს“. რაც ისტერიას რჩება, შესაბამისად, არის ერთდროულად სიმუნჯე და მიმბაძველობა. ის დუმს და, ამავდროულად, ბაძავს. და — აბა, სხვაგვარად ან როგორ იქნებოდა? — იმ ენის იმიტირება-კვლავნარმოებით, რომელიც მისი არ არის, კერძოდ, კაცური ენისა, ის ამ ენის კარიკატურიზაციას ახდენს, ამახინჯებს მას: ის „ტყუის“, ის „აცდუნებს“ - თვისებები, რომლებსაც ასე ხშირად მიაწერდნენ ხოლმე ქალებს.

(როგორც)-ქალის-ლაპარაკის ამოცანაც სწორედ ის არის, რომ იპოვოს შესაძლო უწყვეტობა ამ ფესტიკულარობასა, თუ სურვილის მეტყველებას — რომლებიც, ამჟამად, შემჩნევადია მხოლოდ როგორც სიმპტომები და პათოლოგიები - და ენას შორის, მათ შორის ვერბალურ ენას შორის. აქ კიდევ ერთხელ შეიძლება დაისვას შეკითხვა იმის შესახებ, თავს ხომ არ მოახვია ფსიქონალიზმა ისტერიულ სიმპტომს ისეთი კოდი, ინტერპრეტაცი(ებ)ის ისეთი სისტემა, რომელიც არ შეესაბამება სომატიზირებულ და მდუმარებაში მომწყვდეულ სურვილს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გვთავაზობს კი ფსიქონალიზი ისტერიულების რაიმე სხვაგვარ „განკურნებას“, გარდა იმ უსარგებლო

შემოთავაზებებისა, რომლებიც მიზნად ისახავს ისტერიულების ადაპტირებას, თუნდაც ოდნავ უკეთესად, კაცურ საზოგადოებასთან?

...

შეკითხვები I ⁹

„რა იყო თქვენს ნაშრომზე მუშაობის დანების და გავრძელების მოტივაცია?“

მე ქალი ვარ. მე ვარ არსება, რომლის სქესობრივი განსაზღვრულობაც მდებრობითია. მე სქესობრივად განსაზღვრული ვარ ქალად. ჩემი ნაშრომის მოტივაცია ასეთი განცხადების გაკეთების შეუძლებლობას ეხება. იმას, რომ მისი წარმოთქმა ერთგვარი უაზრობა, შეუსაბამობა, უხამსობაა. ან იმას, რომ ქალი არასდროსაა [ზმნა] *ყოფნის* ატრიბუტი და არც *მდებრობით სქესად განსაზღვრულობაა* *ყოფნის* თვისება; ან იმას, რომ ვარ ქალი არ არის მე-ს პრედიკატი, ან კიდევ იმას, რომ მე ვარ სქესობრივი თვალსაზრისით განსაზღვრული გამორიცხავს მდებრობით სქესს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩემი სქესის სინამდვილის არტიკულირება შეუძლებელია დისკურსში, და ამას სტრუქტურული, ეიდეტიკური მიზეზი აქვს. ჩემი სქესი ჩამოშორებულია, ყოველ შემთხვევაში როგორც სუბიექტის საკუთრივი თვისება, იმ პრედიკატულ ფუნქციას, რომელიც დისკურსულ თანმიმდევრულობას უზრუნველყოფს.

ამრიგად, მე-ქალს გონივრულად მეტყველება შემიძლია ან როგორც მამაკაცურად სქესობრივად განსაზღვრულს (მიუხედავად იმისა, ვალიარებ ამას თუ არა), ან როგორც სქესობრივად განუსაზღვრელს. სხვა შემთხვევაში, მე ვვარდები იმ ალოგიკურობაში, რომელსაც, როგორც წესი, ქალებს მიაწერენ ხოლმე. შესაბამისად, ჩემს მიერ გაკეთებული

⁹ ეს შეკითხვები ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად დაისვა ჟიურის წევრების მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვისას 1974 წლის 2 ოქტომბერს, ვენსენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

ყველა განცხადება არის ან იმ მოდელისგან ნასესხები, რომელიც გვერდით ტოვებს ჩემს სქესს — რაც გულისხმობს მუდმივ აცდენას ჩემს მიერ წარმოთქმულის წინასწარდაშვებებსა და ჩემს წარმოთქმულს შორის, და უფრო მეტიც, იმასაც გულისხმობს, რომ მე, რომელიც ვბაძავ და ვიმეორებ იმას, რაც არ შეესაბამება ჩემსავე იდეას ან მოდელს (რომელიც მე არც კი მაქვს), აღმოვჩნდები ბევრად უფრო დაბლა მდგომი იმასთან შედარებით, ვისაც აქვს თავისი იდეა ან მოდელი, — თუ არა და, ჩემი განცხადებები გაუგებარი რჩება მოქმედი კოდის მიხედვით, რის გამოც ისინი, სავარაუდოდ, არანორმალურად, ან, უფრო მეტიც, პათოლოგიურად იქნებიან შეფასებული.

მდედრობით სქესთან დაკავშირებული ეს დისკურსული აპორია — თავად რაციონალობის საზღვრად მოვიაზრებთ მას, თუ როგორც ქალების უძლურებას, თანმიმდევრულად ისაუბრონ — ბადებს კითხვას, და კრიზისსაც კი, რომელიც მრავალი სხვადასხვა დარგის შიგნით შეიძლება გაანალიზდეს, მაგრამ მისი განმარტებისთვის მმართველ დისკურსზე გავლავა საჭირო — იმ დისკურსზე, რომელიც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ენის ორგანიზებას; რომელიც უწესებს კანონს სხვა დისკურსებს, მათ შორის იმასაც კი, რომლის საგანიც თვითონ ეს სხვა დისკურსებია: დისკურსების დისკურსზე, ე.ი. ფილოსოფიურ დისკურსზე — ისტორიაზე მისი მმართველი სადავების, მისი ისტორიული ბატონობის გამოკვლევისთვის.

მაგრამ ამ ფილოსოფიურ ბატონობას — რომელსაც *სხვა ქალის სპეკულუმში* განვიხილავ — ვერც პირდაპირ მივუდგებით, ვერც თავად ფილოსოფიური სფეროს შიგნიდან მოვიხელთებთ. ამიტომ, აუცილებელი იყო სხვა ენების გამოყენება — იმის დავინწყების გარეშე, რომ ისინი უკვე დავალებულები არიან ფილოსოფიური ენის მიმართ — და საჭირო იყო მდუმარების მდგომარეობის, აფაზიის სიმპტომად მიღებაც კი — ისტორიულ-ისტერიულ, ისტერიულ-ისტორიულ სიმპტომად —, რათა, ბოლოს და ბოლოს, გაჟღერებულიყო რაღაც ქალური, როგორც ფილოსოფიურის საზღვარი.

„რა მეთოდი გამოიყენეთ ამ კვლევისთვის?“

საფრთხილო კითხვაა. განა სწორედ მეთოდი, ცოდნის მოპოვების გზა არ იყო ის, რაც ყოველთვის, გაყალბებისა და ხრიკების მეშვეობით, გვაშორებდა ქალის გზას, ზურგს გვაქცევინებდა მისთვის, იმდენად, რომ მის დავიწყებასაც კი აკურთხებდა? უფრო მეტიც, ტერმინ მეთოდის ეს მეორე ინტერპრეტაცია — როგორც შემოვლითი გზა, თაღლითობა და ხელოვნურობა — მისი მეორე შესაძლო თარგმანიცაა. ამიტომ, ქალის გზის ხელახლა გახსნისთვის, განსაკუთრებით ენაში და ენის მეშვეობით, საჭირო იყო დამედგინა, რომ მეთოდი არასდროსაა ისეთი მარტივი, როგორადაც თავი მოაქვს; რომ ის ტელეოლოგიური პროექტი — ის ტელეოლოგიურად კონსტრუირებული პროექტი — რომელსაც მეთოდი იძლევა, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ყოველთვის არის სხვისთვის (ანუ, — ყველაზე ზოგადად რომ ვთქვათ, როდესაც ფილოსოფიური მეთოდებს ვხეებით —, ქალურობისთვის) ზურგის შექცევის, მისგან გადახვევის, და მისი რედუცირების პროექტი, იგივეობრიობის ხრიკების მეშვეობით.

...

შეკითხვები III ¹⁰

„რას იტყობით თქვენი ნაშრომების კავშირზე ქალთა განმათავისუფლებელ მოძრაობასთან?“

თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემამდე, მინდა ორი რამ დავაზუსტო:

— პირველი, მე ვერ მოგიყვებით, თუ რა ხდება განმათავისუფლებელ მოძრაობაში. რომც მინდოდეს თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემა, ის, რაც ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობის შიგნით ხდება, შეუძლებელია მიმოვიხილოთ, აღვწეროთ, ან მოვყვეთ „გარედან“.

¹⁰ ეს შეკითხვა დასვეს ჰანს რაიტცელ ფორლაგმა და ფრედრიკ ენგელშტადმა ოსლოში Pax Press-ის მიერ გამოქვეყნებულ ინტერვიუში.

— მეორე, მირჩევნია, მრავლობით რიცხვში ვისაუბრო ქალთა განმათავისუფლებელ მოძრაობებში. რეალურად, დღეს ქალთა ბრძოლაში მრავალი ჯგუფი და ტენდენცია იკვეთება, და მათი ერთ მოძრაობამდე დაყვანა შეიცავს იერარქიზაციის, ორთოდოქსულობის მოთხოვნისა და სხვა მსგავს მოვლენათა რისკს.

ჩემს ნაშრომებს რომ დაუბრუნდე: როგორც უკვე აღვნიშნე, მე ვცდილობ კაცური წარმოსახვითი შრის გადაკვეთას, იმის ინტერპრეტირებას, თუ რა გზით მოახერხა მან ჩვენი დამცრობა დუმილამდე, სიმუნჯემდე ან მიმიკრიამდე, და ვცდილობ, სწორედ ამ საწყისი წერტილიდან და იმავდროულად, (ხელახლა) აღმოვაჩინო ქალური წარმოსახვითი შრისთვის შესაძლო სივრცე.

მაგრამ, ცხადია, ეს არ არის უბრალოდ „ინდივიდუალური“ ამოცანა. ხანგრძლივმა ისტორიამ ყველა ქალი ერთსა და იმავე სქესობრივ, სოციალურ და კულტურულ პირობებში მოაქცია. რა უთანასწორობებიც არ უნდა არსებობდეს ქალებს შორის, ყველა მათგანი, მიუხედავად იმისა, აცნობიერებს ამას აშკარად თუ არა, განიცდის ერთსა და იმავე ჩაგვრას, სხეულის ერთსა და იმავე ექსპლუატაციას, სურვილის ერთსა და იმავე უარყოფას.

სწორედ ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქალებმა შეძლონ გაერთიანება, და გაერთიანდნენ „ერთმანეთს-შორის“. იმისთვის, რომ დაიწყონ იმ სივრცეებიდან, იმ როლებიდან და იმ გამოხატულებებიდან გამოსვლა, რომლებიც მათ მიაკუთვნა და ასწავლა კაცურმა საზოგადოებამ; იმისთვის, რომ უყვარდეთ ერთმანეთი მაშინ, როცა კაცებმა ქალებს შორის დე ფაქტო მეტოქეობა დაანესეს; იმისთვის, რომ „სოციალურობის“ იმისგან განსხავებულ ფორმას მიაგნონ, რომელსაც მათ ყოველთვის თავს ახვევდნენ. განმათავისუფლებელი მოძრაობების უპირველესი მიზანია, ყოველმა ქალმა „გააცნობიეროს“, რომ რასაც ის თავის პირად გამოცდილებაში გრძნობს, ყველა ქალის მიერ გაზიარებული მდგომარეობაა — ეს კი შესაძლებელს ხდის ამ გამოცდილების პოლიტიზირებას.

მაგრამ რას ნიშნავს აქ "პოლიტიკური"? „ქალთა პოლიტიკა“ ჯერ-ჯერობით, ჯერ კიდევ, არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში მისი ფართო გაგებით. და თუ ასეთი პოლიტიკა ერთ დღესაც გაჩნდება, ის ძალიან განსხვავებული იქნება კაცების მიერ ინსტიტუციურად დაწესებული პოლიტიკისგან. რადგან ქალების სხეულის ექსპლუატაციის შედეგად წამოჭრილი საკითხები აღემატება დღემდე ცნობილი და დღემდე გატარებულ პოლიტიკის ფსონებს, სქემებს და, რა თქმა უნდა, „პარტიებს“. როგორც ვხედავთ, ეს ხელს არ უშლის პოლიტიკურ პარტიებს, მონდომონ ქალის საკითხის „შეთვისება“ ქალებისთვის თავიანთ რიგებში ადგილის მინიჭებით, იმ მიზნით, რომ ისინი ჩასვან — კიდევ ერთხელ...- თავიანთ „პროგრამებში“, რომელთაც, უმეტეს შემთხვევაში, არანაირი კავშირი არ აქვთ მათთან, იმ თვალსაზრისით, რომ ეს პროგრამები ვერ ითვალისწინებს ქალების *სპეციფიკურ ექსპლუატაციას*. ქალების ექსპლუატაცია, რეალურად, არ წარმოადგენს პოლიტიკის შიდა ერთ-ერთ ვიწრო საკითხს, რომელიც მოსახლეობის მხოლოდ ერთ „ჯგუფს“ ან სოციალური „სხეულის“ ერთ „ნაწილს“ ეხება. როდესაც ქალებს ექსპლუატაციისგან თავის დაღწევა სურთ, ისინი უბრალოდ რამდენიმე „ცრურწმენას“ კი არ ანადგურებენ — ისინი არღვევენ დომინანტური ღირებულებების მთელ წესრიგს: ეკონომიკურს, სოციალურს, მორალურს, სქესობრივს. ისინი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ყველა არსებულ თეორიას, ყველა ნააზრევს, მთელ არსებულ ენას, რამდენადაც ისინი მხოლოდ კაცების მიერ მონოპოლიზირებულია. ისინი ეჭვქვეშ აყენებენ *თვითონ იმ საფუძველს, რომელზეც დგას ჩვენი სოციალური და კულტურული წესრიგი*, რომლის მოწყობის წესიც პატრიარქალურმა სისტემამ განსაზღვრა.

ჩვენი სოციალურობის პატრიარქალურ საფუძველს ინარჩუნებს, ფაქტობრივად, დღევანდელი პოლიტიკა, „მემარცხენეც“ კი. აქამდე *მარქსიზმიც კი ძალიან მკირე ყურადღებას აქცევდა ქალების სპეციფიკური ექსპლუატაციის პრობლემებს, და ქალთა ბრძოლები ხშირად აწუხებდათ კიდევ მარქსისტებს*. არადა ამ ბრძოლების ინტერპრეტირება შეიძლება მოხდეს სოციალური ექსპლუატაციის ანალიზის იმ სქემების დახმარებით (ოღონდ, რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ ეს სქემები განსხვავებულად იქნება გამოყენებული), რომლებსაც

მემარცხენეები სწორედ თავიანთი პოლიტიკური პროგრამების საყრდენად აცხადებდნენ. მაგრამ არცერთ პოლიტიკას დღემდე არ დაუყენებია ეჭვქვეშ თავისი კავშირი ფალოკრატიულ ძალაუფლებასთან.

..

რომ დავაკონკრეტოთ, ეს ნიშნავს, რომ ქალებმა, ცხადია, უნდა გააგრძელონ ბრძოლა თანაბარი ანაზღაურებისა და სოციალური უფლებებისთვის, დისკრიმინაციის წინააღმდეგ დასაქმებასა და განათლებაში, და ა.შ.; მაგრამ ეს საკმარისი არ არის: თუ ქალები უბრალოდ კაცების "თანასწორნი" იქნებიან, მაშინ ისინი "მათი მსგავსნი" იქნებიან, შესაბამისად — არ იქნებიან ქალები. ამ შემთხვევაში სქესთა შორის განსხვავება კვლავაც გაუქმდებოდა, შეუცნობელი, გადაფარული დარჩებოდა. ასე რომ, აუცილებელია, რომ ქალებმა ერთმანეთში და ერთმანეთს შორის გამოიგონონ ორგანიზების ახალი გზები, ბრძოლის ახალი ფორმები, ახალი გამონვევები. სხვადასხვა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უკვე დაიწყო ამის კეთება, და ნელ-ნელა „ქალთა ინტერნაციონალის“ კონტურებიც იკვეთება. მაგრამ აქაც, ინოვაციაა საჭირო: ინსტიტუტები, იერარქია და ავტორიტეტი — ანუ პოლიტიკის არსებული ფორმები — კაცების საქმეა. ჩვენი არა.

ამით აიხსნება გარკვეული სირთულეები, რომლებსაც განმათავისუფლებელი მოძრაობები აწყდებიან. თუ ქალები დაუშვებენ, რომ ძალაუფლების მახეში, ავტორიტეტის თამაშში გაებან, თუ ისინი დაუშვებენ, რომ მათაც გადაედოთ კაცური პოლიტიკის „პარანოიული“ ფუნქციონირების წესი, მაშინ არაფერი დარჩებათ სათქმელი და არც გასაკეთებელი როგორც ქალებს. სწორედ ამიტომ, დღეს, საფრანგეთში, ერთ-ერთი ამოცანა ისაა, რომ მოძრაობის სხვადასხვა ტენდენციათა გადაჯგუფება მოხდეს რიგი კონკრეტული და სპეციფიკური თემებისა და მოქმედებების ირგვლივ: გაუპატიურება, აბორტი, მამის სახელის პრეროგატივასთან დაპირისპირება სასამართლო გადანყვეტილებებში, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ „ვის ეკუთვნის“ ბავშვები, ქალების სრულფასოვანი მონაწილეობა საკანონმდებლო გადანყვეტილებებსა და აღსრულებაში, და ა.შ. ოღონდ, ამ ყველაფერმა არასოდეს უნდა

შენილბოს ის ფაქტი, რომ ქალები თავიანთი განსხვავებულობის გამოვლენისთვის ითხოვენ თავიანთ უფლებებს.

ჩემი მხრივ, მე უარს ვამბობ ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ „ჯგუფში“ ჩავიკეტო. მით უმეტეს, თუ ეს ჯგუფი ძალაუფლების განხორციელების მახეში აღმოჩნდება, პრეტენზიას გამოთქვამს, დაადგინოს ქალის შესახებ „ჭეშმარიტება“, კანონმდებლობით განსაზღვრავს იმას, თუ რას ნიშნავს „იყო ქალი“, და დაგმობს ქალებს, რომელთა უშუალო მიზნებიც განსხვავებული იქნება. მე ვფიქრობ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველა ქალისთვის საერთო ექსპლუატაცია გამოვააშკარაოთ და ის ბრძოლები ვიპოვოთ, რომლებიც თითოეულ ქალს თავისებურად ეხმიანება იქ, სადაც ის არის: მისი ქვეყნის, მისი საქმიანობის, მისი სოციალური კლასის, მისი სექსუალური გამოცდილების მიხედვით, ერთი სიტყვით, ჩავვრის ის ფორმა, რომელიც მისთვის ყველაზე უფრო უშუალო და ყველაზე უფრო აუტანელია.